გელათის სამონასტრო კომპლექსი

ღმრთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის

გუმბათის დასავლეთი სარკმლის

ამოშენებული და მოხატული

კედლის მხატვრობის ფრაგმენტის მოხსნა

დამკვეთი: გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტი
შემსრულებელი: გელათის კედლის მხატვრობის კონსერვაციის ჯგუფი

სამუშაოების წარმოების საფუძველი: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 2025 წლის 23 იანვარს გაცემული N12/5 სანებართვო მოწმობა

2025 წლის იანვარი-თებერვალი

სარჩევი	გვ
წინაპირობა	2
კედლის მხატვრობის კონსერვაციის ჯგუფის მიდგომები	3
შეჯამება	4
ფიზიკური ისტორია	5
მხატვრობის ტექნოლოგია	8
მხატვრობის მდგომარეობა	14
მხატვრობის ფრაგმენტის მოხსნის მეთოდოლოგია და პროცესი	15
საყრდენი ძელების გატარების პროცესი და ამჟამინედლი მდგომარეობა	20

კედლის მხატვრობის კონსერვაციის ჯგუფი:

კედლის მხატვრობის კონსერვაციის პროგრამის ხელმძღვანელები: სტივენ რიკერბი და ლიზა შეკედე

ქართული ჯგუფი კედლის მხატვრობის კონსერვატორები: მარიამ საღარაძე, გიორგი ნავროზაშვილი, სოფიო მიქაბერიძე, ნანა ხუსკივაძე, ელა სააკიანი, ეთერ თოლორაია, ნინო კობერიძე

მარიამ საღარაძე - კედლის მხატვრობის მთავარი სპეციალისტი

ხელმოწერა: თარიღი 27/02/2025

წინაპირობა

გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის გუმბათის დროებითი გადახურვის აუცილებლობიდან გამომდინარე გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის დაკვეთით მომზადდა გელათის მონასტრის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის ძალოვანი ხარაჩოსა და მთლიანი დროებითი გადახურვის საპროექტო წინადადება.

მთლიანი ტაძრის არქიტექტურისა და ინტერიერის შემკულობის (მოზაიკის, კედლის მხატვრობის) უსაფრთხო რეაბილიტაციის მიზნით დროებითი გადახურვის პროექტი გუმბათის ინტერიერიდან გარეთ 4 კოჭის სარკმლებში გატარებას ითვალისწინებს. შესაბამისად გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს დასავლეთის მხარეს, გუმბათის ყელის ცენტრალურ ნაწილში აგურით ამოშენებული ერთი სარკმელის ჭრილის ამოკვეთა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მიერ 2025 წლის 23 იანვარს გაცემული N12/5 სანებართვო პირობების შესაბამისად და საერთაშორისო იკომოსის ტექნიკური შეფასების დასკვნის საფუძველზე (https://gelatirehabilitation.ge/uploads/documents/docs/ICOMOS-Conclusion-on-the-arrangement-of-the-Support-platform-ENG.pdf) გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის დაკვეთით 2025 წლის იანვარ-თებერვალში განხორციელდა ღვთისმშობლის შობის ტაძრის გუმბათის ამოშნებული დასავლეთი სარკმლის კედლის მხატვრობის ფრაგმენტის მოხსნა. მხატვრობა მოიხსნა გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის კედლის მხატვრობის კონსერვაციის ჯგუფის მიერ.

კედლის მხატვრობის კონსერვაციის ჯგუფის მიდგომები

კედლის მხატვრობის კონსერვაციის მიდგომები საერთაშორისო ეთიკის ნორმების თანახმად და გელათის კედლის მხატვრობის კონსერვაციის ჯგუფის პრინციპების მიხედვით კედლის მხატვროვიბის განზრახ განადგურება ან ისტორიული კედლის მხატვრობის სქემების თუნდაც მცირე ნაწილის მოხსნა ნორმალურ პირობებში მიუღებელია. კედლის მხატვრობის მოხსნის შესაძლებლობა განპირობებულია მხოლოდ მაშინ, თუკი მთლიანად ტაძრის უსაფრთხოების გარდაუვალი საჭიროება დგება და ზოგადად მხატვრობის გადარჩენის მიზანს ემსახურება. მთლიანად, ეკლესიაში არსებული კედლის მოხატულობისა და მოზაიკის ძალიან მძიმე საკონსერვაციო მდგომარეობა საჭიროებს მთელი სტრუქტურის ნალექისგან გარანტირებულ დაცვასა და კომპლექსური საკონსერვაციო პროექტის განხორციელებას, რათა ჩვენი ეროვნული საუნჯე და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები სათანადოდ იყოს დაცული და შენარჩუნებული.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კომიტეტისა და მისი მრჩეველი ორგანოების მიერ განისაზღვრა ტაძრის ერთიანი/დროებითი გადახურვის ქვეშ მოქცევა, რაც უმთავრესი პირობაა ტაძარში არსებული კედლის სტაბილიზაციისათვის. მხატვრობისა და მოზაიკის მდგომარეობის გელათის კათედრალისთვის ერთიანი/დროებითი გადახურვის მოსაწყობად ყველა შესაძლო საფრთხის გათვალისწინებით, გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის დაკვეთით შემუშავდა ერთიანი/დროებითი გადახურვის პროექტი, რომლითაც დაძლეულ იქნა ძეგლის წინაშე არსებული გამოწვევები და უზრუნველყოფს ტაძრის მდგრადობას, მასზე მომუშავე პერსონალის დაცულობას და საკონსერვაციო სამუშაოების დაუბრკოლებლად და უსაფრთხოდ განხორციელებას. შესაბამისად, დეკორატიული მოხატულობისა და ნელესობის ფრაგმენტების შემცველი სარკმლის ნაწილობრივი გახსნა უნდა იყოს განხილული, როგორც გარდაუვალი ღონისძიება, ღვთისმშობლის შობის ტაძრის სტრუქტურისა და დარჩენილი კედლის მხატვრობის გადარჩენისთვის/უსაფრთო გარემოს შექმნისთვის.

შეჯამება

გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის გუმბათის დასავლეთი სარკმლის კედლის მხატვრობის ფრაგმენტის მოხსნის აუცილებლობა გამომდინარეობდა ტაძრის საერთო უსაფრთხო პირობების შექმნის მიზნიდან, შესაბამისად, გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის დაკვეთით კედლის მხატვრობის კონსრევაციის ჯგუფის მიერ მოხდა:

მოსახსნელი ფრაგმენტისა და მიმდებარე არეების კედლის მხატვრობის ტექნოლოგიის დიაგნოსტიკა: ამოვსებული აგურის საფუძველზე გამოვლინდა ორი სხვადასხვა შემადგენლობის მქონე ნალესობა, და განსხვავებული ფერწერული ფენები, რაც შეიძლება მიუთითებდეს ამოშენებული და მოხატული სარკმლის პერიოდიზაციაზე. მხატვრობა წარმოადგენს მარმარილოს იმიტაციას ყვითელ ფონზე წითელი და შავი საღებავის შხეფების გამოსახვით. მხატვრობის კიდეებში მოჩარჩოებისთვის წითელ და თეთრ ზოლებად საღებავი არის დატანილი.

ფიზიკური ისტორიის შესწავლისას - მასალიდან გამოვლინდა, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ხელახლა ამოშენდა გუმბათის სარკმლის კედლები, რაც დამატებით კვლევას მოითხოვს სარკმლებისა და მისი მხატვრობის დასათარიღებლად.

შემდგომ ეტაპზე მოხდა მოსახსნელი ფრაგმენტისა და მიმდებარე არეების კედლის მხატვრობის მდგომარეობის დიაგნოსტიკა, რომლის ფარგლებშიც დაფიქსირდა, რომ ამოშენებული აგური ტენის შემცველი იყო, ასევე გვქონდა ნალესობის ერთ-ერთი ტიპის სკდომა - ბადისებრი ბზარები, მცირე რაოდენობით ლოკალური განშრევებები, ფრაგმენტაცია. ფერწერული ფენა მოსახსნელი ფრაგმენტის ქვედა არეში თითქმის მთლიანად დაშლილია და დაფარულია მარილის ორი ტიპით (ნაფიფქი და ქრქისებრი), რაც აგურიდან შემოსულ ტენს უნდა უკავშრდებოდეს. ლოკალურად ვხვდებით ფერწერის ბურცვასაც. ზედაპირი დაბინძურებულია მტვრის ნაწილაკებით, ობობის ქსელებითა და ფრინველის ექსკრემენტებით.

აღსანიშნავია, რომ მოსახსნელი ფრაგმენტის 0.3-3 სმ-იანი სისქის ნალესობა მტკიცე კავშირში იყო აგურის საფუძველთან, შესაბამისად მისი უსაფრთხოდ მოხსნის მეთოდად განისაზღვრა სტაკო ა მასელოს ტექნიკა (კედლის მხატვრობის საფუძვლის ფენიანად მოხსნა). მხატვრობის ზედაპირის დამუშავებისა და სპეციალური ხის სტრუქტურის დამზადებით ინტერიერის მხრიდან მოსახნელად მომზადდა ფრაგმენტი. ფასადის მხრიდან აგურების ამოღებით მოხდა დაახლოებით 40-45 სანტიმეტრიანი კედლის დაშლა და ინტერიერის მხრიდან ჩაჭრილი მხატვრობის საფუძლის ფენიანად მოხსნა უსაფრთხოდ. მოხსნილი კედლის მხატვრობა (40.5X83.5 სმ) გადატანილია გელათის მონასტრის საკონსერვაციო ლაბორატორიში და ინახება საცავ ყუთში, ხოლო სარკმელში გაკეთებულ ღიობში გაყვანილია დროებითი გადახურვის ლითონის ძელები. გუმბათის ყელში გაკეთებული ღიობები გარედან შეფუთულია, რათა წყლის შეღწევის პრევენცია მოხდეს.

ფიზიკური ისტორია

გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის გუმბათში შემორჩენილია რამდენიმე ფენის მხატვრობა, ძირითადი მხატვრობა (ზედა) თარიღდება XVI საუკუნით (იხ. გელათი 900, ხუროთმოძღვრება, მხატვრობა, განძეულობა, თბილისი, 2007, გვ. 259).

გუმბათს ყელში აქვს 16 სარკმელი. 5 სარკმელი, რომელიც დასავლეთით არის მოქცეული ამოქოლილია აგურით, ხოლო ინტერიერის მხიდან ვხვდებით შელესილ და მოხატულ ზედაპირებს. მხატვრობა დეკორატიულია, ამოქოლილ ზედაპირზე ვხვდებით მარმაროლოს იმიტაციასა და წითელ მოჩარჩოებებს, ხოლო სარკმელიბს წირთხლებში მცენარეულ მოტივს.

ისტორიული წყაროებისა და ტაძრის მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ გელათის გადახურვას მრავალისაუკუნის განმავლობაში დიდი პრობლემა ჰქონდა, რაც ძირითადად წყლის შედინებას უკავშირდებოდა.

გუმბათის დასავლეთი მხარეს სარკმლების ამოშენების მიზეზიც ამ პრობლემის აღმოფხვრას უნდა უკავშირდებოდეს. **სარკმლების ამოშენების ზუსტი თარიღი უცნობია, თუმცა აღსანიშნავია, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში სარკმლების ხელახალ ამოშენებაზე დაიდო კონტრაქტი:**

„1843 წლის 2 აგვისტოს იმერეთის ეპარქიის მმართველობამ გელათის მონასტრის დიდი ტაძრის სახურავის შეკეთებაზე დადო კონტრაქტი. მათ ტაძრის სახურავის სამი კალთა უნდა გადაეხადათ და ხელახლა ხით გადაეჭედათ. სახურავად ძველივე რკინის ფურცლები უნდა ეხმარათ, უნდა შეეკეთებინათ გუმბათის ჯვრის ფეხი ისე, რომ წყალი აღარ ჩასულიყო, გუმბათის ფანჯრები, რომლებშიც წყალი შედიოდა, **ხელახლა უნდა გამოეშენებინათ აგურით**, გუმბათის გარშემო სახურავი უნდა დაეგოზათ საგოზავით.“ (იხ. კეზევაძე. მ, გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს, საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, 2006, გვ. 123.)

„1846 წელს მონასტრის შენობები იხურებოდა თუნუქით, შეკეთებისათვის საჭირო მასალების ადგილზე მიტანასთან ერთად, თუნუქის დამხურავი ოსტატიც იქნა ჩამოყვანილი, - ივანე სტეფანეს ძე კრასოვი. კრასოვმა 1846 წლის 6 სექტემბერს თავის მოყვანილ ორ მუშასთან ერთად დაიწყო დიდი ტაძრის გადახურვა, რომელიც 10 ნოემბრისათვის დაუსრულებია. ამავე თვეში ტაძარი გადაუღებავთ კიდეც.“ (იხ. კეზევაძე. მ, გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს, საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, 2006, გვ. 126.)

ფიზიკური ისტორია

„1852 წელს მარტის ძლიერმა ქარმა დააზიანა დიდი ტაძრის და ეკლესიების ისედაც დაძველებული ფანჯრები, ზოგი ძირს გადმოუგდია, ზოგში მინები ჩაუმტვრევია, რის გამოც ჩიტები ტაძარში თავს აფარებდნენ, იბუდებდნენ, ქარიან წვიმიან ამინდში კი კედლები სველდებოდა წვიმის შესხმის დროს. 1854-1856 წლებში ხელახლა გადაიღება მთავარი ტაძრის, წმ. გიორგის და წმ. ნიკოლოზის ეკლესიების სახურავები, ოსტატი იყო როსტომა ჩხიკვაძე. ფანჯრები კი კვლავ უმინებო და გამოუცვლელი დარჩა.“ (იხ. კეზევაძე. მ, გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს, საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, 2006, გვ. 128-129.)

„1864-1865 წლებში ოსტატებმა ფილიპე, იოსებ და კიკოლა ბერეკაშვილებმა დიდ ტაძარში გააკეთეს ახალი ფანჯრები (43 ცალი - აქედან 11 გუმბათში) და ჩასვეს მინები.“ (იხ. კეზევაძე. მ, გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს, საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, 2006, გვ. 129.)

1880-1881 წლებში კვლავ გადაღებეს გელათის მონასტრის შენობათა სახურავები, ჩატარდა მცირეოდენი რემონტიც.

დ. ერმაკოვი 1880-1910-იანი წლები, არქივი
გელათის სამონასტრო კომპლექსი, ხედი აღმოსავლეთით

ფიზიკური ისტორია

სავარაუდოდ, 1950-იან წლებში, მაშინ როდესაც რუსუდან მეფისაშვილი და ვახტანგ ცინცაძე ახორციელებდა არქიტექტურულ სამუშაოებს (აზომვებს: ნამუშევრების აღწერის დოკუმენტაცია გამოქვეყნებულია წიგნში: რ. მეფისაშვილი, არქიტექტურული ანსამბლი გელათი, თბ., 1966 წ.) გუბათში კედლის მხატვრობის გამაგრებები განხორციელდა (კარლო ბაკურაძის და შალვა აბრამისშვილის მიერ). 1970-იან წლებში გაკეთდა მთავარი ტაძრის ცინკით გადახურვა. ხოლო ინტერიერში 1970-იანებიდან 1990-იანებამდე გაგრძელდა კედლის მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოები.

2015 წელს გუმბათის კრამიტით გადახურვის პარალელურად გუმბათის ინტერიერში კედლის მხატვრობაზე გადაუდებელი საკონსერვაციო ჩარევები განხორციელდა. (იხ. გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის გუმბათის მოხატულობის გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები, ჯგუფის ხელმძღვანელი ს. რუბაშვილი; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, დაფინანსება: ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო (2015).

1951, შიმანსკი; ღვთისმშობლის შობის ტაძრის სამხრეთი ფასადი, გუმბათის დასავლეთი სარკმლები ამოშენებულია.



1976, ზენკო
ღვთისმშობლის შობის ტაძრის სამხრეთი ფასადი

სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები



1977, პინაევი; ღვთისმშობლის შობის ტაძრის სამხრეთი ფასადი, გუმბათის დასავლეთი სარკმლები ამოშენებულია.

კედლის მხატვრობის ტექნოლოგია და მდგომარეობა

საფუძვლის ფენა

გელათის ღვთსმშობლის შობის ტაძრის გუმბათის დასავლეთი სარკმელი (კვლევის ობიექტი) ამოშენებულია მუქი წითელი აგურით, რომლის სიღრმეც სარკმლის ქვედა ნაწილში ნახევარი მეტრია.

აგურებს შორის მოქცეული მოყვითალო-თეთრი შეფერილობის დუღაბი, რომელსაც მსხვილმარცვლოვანი ქვიშისა და ორგანული მცენარეული ჩანართები აქვს. აგურის წყობა სიღრმეში არეულია. ვხვდებით სხვადასხვა ზომისა და ფორმის აგურის ნატეხებსა და დიდი ზომის სიცარიელეებს. აგური სიღრმეში ტენიანი იყო (მოხსნის დროს იგლისებოდა).



ქვემოთ: ფასადის მხრიდან ამოშენებული სარკმელი



ქვემოთ: ფასადის მხრიდან ამოშენებული სარკმელი

ქვემოთ: სარკმელის გაჭრისას დაფიქსირდა დიდი რაოდენობით ტენი, რომელსაც აგურის მასალა შეიცავდა. აღნიშნული ტენი ინტერიერში გამომარილების წყაროს წარმოადგენს.



ქვემოთ: სარკმელში გამოყენებული აგურები და დუღაბი.

კედლის მხატვრობის ტექნოლოგია

ნალესობის ფენა

საკვლევი ობიექტი (სურათზე მოცემულია წითელ ჩარჩოში), ტაძრის გუმბათის დასავლეთი სარკმელი, რომელიც ამოშენებულია აგურის ნახევარმეტრიანი სისქის წყობით, ინტერიერის მხრიდან დამუშავებულია ნალესობის ერთი ფენით (თუმცა სხვადასხვა შემადგენლობით). ნალესობის ტოპოგრაფია უსწორმასწოროა და მიუყვება აგურის წყობას. საკვლევი მონაკვეთის ცენტრის მაღლა ვხვდებით ჰორიზონტალუ ნაკერს, ხოლო კიდეებში ვერტიკალურ ნაკერებს. ნალესობის სისქე 0.3 სმ-დან დან 3 სმ-მდე მერყეობს, განსაკუთრებით სქელის ცენტრალური ნაწილი.

მარცხნივ: *გუმბათის დასავლეთი სარკმლის ქვედა ნაწილი ამოშენებულია ნახევარი მეტრის სისქის აგურით. ზედაპირი შელესილი და მოხატულია.*



ქვევით: *შელესილი კედლის ტოპოგრაფია უსწორმასწოროა, ცენტრში იკითხება ნალესობის ნაკერი*

პირდაპირი განათება



გვერდითი განათება



კედლის მხატვრობის ტექნოლოგია

ნალესობის ფენა

აღსანიშნავია, რომ ნაკერის ზედა მხარეს არსებული ნალესობა განსხვავდება ქვედა ნაწილში არსებული ნალესობისგან. ქვედა (დაზიანებული) ნალესობა მონაცრისფრო-თეთრი, პოლიმიქტური, სხვადასხვა ფერის საშუალო და წვრილმარცვლოვანი ქვიშით ხასიათდება. ნალესობის სისქე 0.3 სმ-დან დან 3 სმ-მდე მერყეობს.





ზემოთ: *ნალესობის შემადგენლობა მიკროსკოპული დაკვირვებით (50 გადიდებაზე). თეთრ შემკვრელში გამოყენებულია არაორგანული სხვადასხვა შეფერილობისა და მორფოლოგიის მქონე ქვიშის აგრეგატები.*



ზემოთ: *ამოშენებული სარკმლის ფრაგმენტი. ნალესობის ნაკერის ქვევით არსებული თხელი შელესილობის ფენა, რომელიც დატანილია აგურის საფუძველზე. წითელი ისრით მითითებულია ნალესობის მიკროსკოპული შესწავლის ლოკაცია.*

კედლის მხატვრობის ტექნოლოგია

ნალესობის ფენა

მოსახსნელ მონაკვეთზე (სარკმელში) ნაკერის ზედა მხარეს არსებული ნალესობა მონაცრისფრო-თეთრი, პოლიმიქტური, სხვადასხვა ფერის მსხვილი, საშუალო და წვრილ მარცვლოვანი ქვიშისა და თეთრი შემკვრელისგან შედგება. ჭრილში ვხვდებით ორგანულ - ყვითელი შეფერილობის მცენარეულ ჩანართებს. ნალესობის სისქე 0.3 სმ-დან დან 2.5 სმ-მდე მერყეობს.



***მარჯვნივ**: ამოშენებული სარკმლის ფრაგმენტი. ნალესობის ნაკერის ზევით არსებული შელესილობის ფენა, რომელიც დატანილია აგურის საფუძველზე. ყვითელი ისრით მითითებულია ნაკერი, ხოლო წითელი ისრით მითითებულია ნალესობის მიკროსკოპული შესწავლის ლოკაცია.*



***ზემოთ:** ნალესობის შემადგენლობა მიკროსკოპული დაკვირვებით (50 გადიდებაზე). თეთრ შემკვრელში გამოყენებულია არაორგანული სხვადასხვა შეფერილობისა და მორფოლოგიის მქონე ქვიშის აგრეგატები.*



ქვემოთ: ნალესობის ჭრილზე (ნაკერის ზედა მხარეს არსებული ფრაგმენტი. ნარინჯისფერი ისრით მითითებულია ყვითელი შეფერილობის მცენარეული ჩანართი.



კედლის მხატვრობის ტექნოლოგია

ნალესობის ფენა

სარკმლის წირთხლზე, ნაკერის ზედა მხარეს არსებული ნალესობა ამოშენებული სარკმლის ორივე ნალესობისგან განსხვავდება. მონაცრისფრო-თეთრი, დიდი რაოდენობით პოლიმიქტური, სხვადასხვა ფერის მსხვილი და საშუალო მარცვლოვანი ქვიშისა და თეთრი შემკვრელისგან შედგება (ვიზუალური მსგავსება მთავარი სივრცის სხვა ნალესობასთან ამ ეტაპზე არ ფიქსირდება).

Gel25-01-25_VM_MS_W2-3_2661_Cr_before_sc





ზემოთ: *ნალესობის შემადგენლობა მიკროსკოპული დაკვირვებით (50 გადიდებაზე). თეთრ შემკვრელში გამოყენებულია არაორგანული სხვადასხვა შეფერილობისა და მორფოლოგიის მქონე ქვიშის დიდი ზომის აგრეგატები.*

ზემოთ და მარჯვნივ: *ამოშენებული სარკმლის ფრაგმენტის სამხრეთი წირთხლი. ნალესობის ნაკერის ზევით არსებული თხელი შელესილობის ფენა. წითელი ისრით მითითებულია ნალესობის მიკროსკოპული შესწავლის ლოკაცია.*



კედლის მხატვრობის ტექნოლოგია

ფერწერული ფენა

საკვლევ მონაკვეთზე ნახევარმეტრიანი ამოშენებული ნიშის ზედა მხარეს (ნალესობის ნაკერის ზემოთ) მხატვრობა შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია შემორჩენილია. ფერწერა წარმოადგენს მარმარილოს იმიტაციას, რომელიც ყვითელ ფონზე დიდი რაოდენობის წითელი საღებავის შხეფებით არის დაფერილი.

მარცხნივ: *ნალესობის ნაკერის ზედა მხარე, მარმარილოს იმიტაცია ყვითელ ფონზე წითელი საღებავის შხეფებით.*



ნაკერის ქვედა მხარეს ფერწერული ფენა განსხვავებულია. მსგავს ყვითელ ფონზე, წითლეთი შხეფების ნაცვლად შავი ფერის მცირე რაოდენობის საღებავის შხეფებია. მხატვრობის კიდეებში წითელი და თეთრი ფერის ვერტიკალური ხაზებია, რომელიც მოჩარჩოების იმიტაციას ქმნის.

მარცხნივ: და ქვემოთ *ნალესობის ნაკერის ქვედა მხარე, მარმარილოს იმიტაცია ყვითელ ფონზე შავი საღებავის შხეფებით.*

კედლის მხატვრობის დაზიანებები

მოსახსნელი ფრაგმენტის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ძირითადი დაზიანებები ვრცელდება გუმბათის დასავლეთი სარკმლის ნალესობის ნაკერის ქვედა მხარეს. ნალესობა ხასითდება სკდომის შედეგად მიღებული ბადისებრი ბზარებით, ზოგ ადგილას ბზარები დახურულია, ზოგან ღია. ნალესობა მჭიდროდ არის მოჭიდებული საფუძველთან და მექნიკური ზემოქმედებით გაფხვიერება არ შეინიშნება. ამ მონაკვეთში ფერწერული ფენა ან სრულად არის დაკარგული ან დაშლის პროცესშია.

ნალესობის ნაკერის ქვემოთ მხატვრობის ზედაპირი სრულად არის დაფარული მარილის ორი ტიპით (ქერქისებრი და ნაფიფქი). იონური ანალიზების შედეგად გამოვლინდა ნიტრატისა და სულფატის შემცველობები.

ზედაპირულ დაბინძურებას (მტვერი, ჭუჭყი, ობობის ქსელები, ფრინველის ექსკრემენტები) და ნალესობის მცირე ზომის დანაკარგებს მხატვრობის ორივე ნაწილში (ნაკერის ზედა და ქვედა მხარეს) ვხვდებით.

საკვლევი ობიექტის/მოსახსნელი ფრაგმენტის გარშემო წირთხლებში ვხვდებით ნალესობის განშრევებებს, ფრაგმენტაციას, გაფხვიერებას, მიკრო ბზარებსა და დანაკარგებს.



ზემოთ: *დაბზარული ნალესობა, ნაწილობრივ და სრულად დაშლი ფერწერა. ქერქისებრი გამომარილება.*

ზემოთ: *დაბზარული და განშრევებული ნალესობა, ფრაგმენტაცია და ფერწერის ბურცვა.*

მხატვრობის ფრაგმენტის მოხსნის მეთოდოლოგია და პროცესი

მოსამზადებელი სამუშაოები

მხატავრობის ტექნოლოგიისა და მდგომარეობის დიაგნოსტიკის შემდგომ მოხდა მოსახსნელი ფრაგმენტისა და მიმდებარე არეების დამუშავება:

1. ზედაპირი მშრალი მეთოდით გაიწმინდა, მოშორდა ობობის ქსელები (ბამბისა და ჩხირის საშუალებით), გაიწმინდა მტვრისა და ჭუჭყის ფენა. ფერწერული ფენისა და ნალესობის მდგომარეობის შესაბამისად შეირჩა სხვადასხვა ზომის ფუნჯები.
2. მოცილდა ქერქისა და ნაფიფქი მარილების ფენები ფუნჯისა და ლანცეტის ფრთხილი გამოყენებით.
3. ნალესობის ფრაგმენტირებული ნაწილები ლოკალურად დამუშავდა ნანო კირისა და კირის ბაზაზე დამზადებული მიკრო ხსნარის გამოყენებით, რათა მომხდარიყო სუსტი ნალესობის ლოკალური გამაგრება.
4. დროებითი გამაგრებისთვის ადგილები დამუშავდა ციკლოდოდეკანის ხნარით, რომელიც სუბლიმაციას განიცდის ანუ რამდენიმე კვირის შემდეგ უკვალოდ ქრება ზედაპირიდან.

ქვემოთ: მოსახსნელი ფრაგმენტისა და გარშემო არსებული არეალების გამაგრების პროცესი

ქვემოთ: ობობის ქსელების მოხსნის პროცესი, ბამბის ჩხირის დახმარებით



ქვემოთ: მარილების ლანცეტის საშუალებით მოხსნა

ქვემოთ: ზედაპირული ჭუჭყის ფუნჯის საშუალებით მოხსნა

ქვემოთ: ნალესობის გამაგრება/კონსოლიტაცია



ქვემოთ: ნალესობის გამაგრება/მიკრო ინექტირება

მხატვრობის ფრაგმენტის მოხსნის მეთოდოლოგია

ხნარების გაშრობის შემდგომ დღეებში მოხდა

5. მოსახსნელი ფრაგმენტისა და გარშემო არეალის ზედაპირის დროებითი დამუშავება პარალოიდ B72-ის 20%-იანი ხსნარითა და იაპონური ქაღალდის გამოყენებით. აღნიშნული მასალებით შეიქმნა საიზოლაციო ქაღალდის მტკიცე ბადე (კვადრატული ფურცლების ერთმანეთზე გადაჭდობით).

6. გამაგრებულ ზედაპირზე (ქაღალდზე) მოსახსნელი ფრაგმენტის ზომების მარკირება განხორციელდა, მხატვრობის ჯგუფისთვის მომზადებული არქიტექტურული ნახაზის მიხევით (ავტორი არქიტექტორი ვ. ზესაშვილი დოკუმენტის თარიღი 25/09.2025).

7. თხელი პირის კუთხლივ სახეხი მანქანის საშუალებით ჩაიჭრა მონიშნული ჩარჩო. (მტვერი გრდოვდებოდა მძლავრი სამშენებლო მტევრსასრუტის საშუალებით, იმისათვის რომ პრევენცია მომხდარიყო ნაწილაკთა სხვა ზედაპირზე დეპოზიტირება). ჩარჩოს კუთხეებიდან ბურღით ინტერიერიდან ფასადისკენ გაკეთდა გამჭოლი ხვრელები.

არქიტექტურული ნახაზი (ავტორი არქიტექტორი ვ. ზესაშვილი დოკუმენტის თარიღი 25/09.2025).



მარცხნივ: *იაპონური ქაღალდისა და პარალოიდ B72 ის გამოყენებით ფერწერული ზედაპირის დამუშავება და გამაგრება.*

ქვევით: *მარკირებული მონაკვეთის ნალესობის ფენის მექანიკური ჩაჭრის პროცესი.*



ქვევით: *მარკირებული მონაკვეთის კუთხეებში ფასადზე გამავალი ხვრელის გაკეთების პროცესი.*

მხატვრობის ფრაგმენტის მოხსნის მეთოდოლოგია და პროცესი

8. მოსახსნელი ფრაგმენტის ზომების მიხედვით მომზადდა ხის საყრდენი ჩარჩო და დამონაჟდა დროებით გამაგრებული მხატვრობის ზედაპირზე (იაპონური ქაღალდისა და პარალოიდ B72-ის ხსნარის გამოყენებით). ჩარჩო ხის ხიმინჯებით დამაგრდა ხარაჩოზე რათა მისი დაძვრის პრევენცია მომხდარიყო.

ვინაიდან ნალესობის ფენა ძალიან მტკიცე ადჰეზიურ კავშირში იყო საფუძვლის ფენასთან, ამასთან ნალესობის სისქე 0.3 სმ-დან 3 სამ-მდე მერყეობდა შეუძლებელი იყო მხატვრობის დაუზიანებლად ფეწერისა და ნალესობის ფენების მოხსნა, კერძოდ სტრაპოს „Strappo“ (მხოლოდ ფერწერული ფენის მოხსნის ან სტაკოს „stacco“ ფერწერისა და ნალესობის ფენის ერთიანად მოხსნის ტექნიკის უსაფრთხოდ გამოყენება.

შესაბამისად, გადაწყდა სტაკო ამ მასელოს "stacco a massello„ ტექნიკის გამოყენება, რა დროსაც ხდება სტრუქტურის საფუძვლის ფენიდან დაშლა და მხატვრობის სრული სტრატიგრფიის მოხსნა დაუზიანებლად.

9. ფასადის მხრიდან მექანიკურად საჭრისის გამოყენებით მინიმალური ვიბრაციით ამოქოლილი სარკმლის აგურების მოხსნა მარკირებული (გაბურღული) მონაკვეთების მიხედვით განხორციელდა.



მარცხნივ: დამუშავებულ ფერწერულ ზედაპირზე ხის ჩარჩოს დამაგრების პროცესი.





მარცხნივ: ფასადის მხრიდან აგურების მოხსნის პროცესი

მხატვრობის ფრაგმენტის მოხსნის მეთოდოლოგია და პროცესი

10. ფასადის მხრიდან აგურები ნაწილობრივ მოიხსნა. მხოლოდ ის აგურები დარჩა ზედაპირზე, რომელთაც უშუალო კავშირი ჰქონდეთ ინტერიერის მხატვრობასა და ნალესობასთან, შესაბამისად, ინტერიერის მხრიდან ხის მოჩარჩოების მსუბუქი მოჭიდებითა და მოზიდვით ფრაგმენტი აგურებთან ერთად მოიხნა ინტერიერში და განთავსდა ხარაჩოს პლადფორმაზე. ფრაგმენტი ზურგის მხრიდან გათავისუფლდა დიდი ზომის აგურებისგან. აგურები მექანიკურად ადვილად მოიხსნა ნალესობიდან. ზურგის მხრიდან გასუფთავებული ფრაგმენტის გადატანა გელათის სამონასტრო კომპლექსში არსებულ ლაბორატორიაში მოხდა.

მოხსნილი ფრაგმენტის ადგილას, სარკმლის ჭრილში სამ წერტილში დროებითი უსაფრთოების მიზნით დამონტაჟდა ხიმინჯები.

საველე პირობებში არქიტექტორ ვ. ზესაშვილის მითითებით მოსახსნელი ფრაგმენტის ადგილმდებარეობა/არქიტექტურული ნახაზი დაკორექტირდა. შესაბამისად, მხატვრობის ჯგუფის მხრიდან საჭირო გახდა ზედა ნაწილში განთავსებული მხატვრობის მცირე ფრაგმენტად მოხსნა.

ფრაგმენტის მეორე ნაწილის ზედაპირიც, იმავე მეთოდით, პარალოიდ B72-ისა და საიზოლაციო ქაღალდით დამუშავდა, დამონტაჟდა ხის ბადე. ქვევიდან ჩაიჭრა ნალესობის ქვეშ მოქცეული აგურები და ერთიანად მექანიკური ზიანის გარეშე მოიხსნა მხატვრობის ფრაგმენტი.



მარცხნივ: *სტაკო ამასელოს (მხატვრობის საფუძვლის ფენიანად მოხსნის) მეთოდით მოხსნილი მხატვრობის ფრაგმენტი.*

ქვემოთ: *აგურების ფრაგმენტიდან მოხსნის პროცესი, ფრაგმენტის შემსუბუქების მიზნით.*



მხატვრობის ფრაგმენტის მოხსნის მეთოდოლოგია

11. ლაბორატორიაში მოხსნილი კედლის მხატვრობა შესაბამის სათავსო ყუთში განთავსდა და სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებამდე აქ იქნება შენახული.

მოხნსილი მხატვრობის ზომები: 40.5X83.5 სმ-ზე.

ზემოთ: *საცავ ყუთში განთავსებული მოხსნილი კედლის მხატვრობის ფრაგმენტი - ზურგის - საფუძვლის ფენის მხრიდან. ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის გუმბათის დასავლეთის ამოშენებული სარკმლის კედლის მხატვრობა.*

ზემოთ: *გელათის სამონასტო კომპლექსის საკონსერვაციო ლაბორატორიაში არსებული კედლის მხატვრობის ფრაგმენტების საცავი ყუთი.*

ზემოთ: *მოხსნილი კედლის მხატვრობის ფრაგმენტის ჭრილი*

საყრდენი ძელების გატარების პროცესი

ლითონის ძელების დამონტაჟება განხორციელდა კედლის მხატვრობის კონსერვაციის ექსპერტის ზედამხეველობით.







ზემოთ: *ლითონის კონსტრუქციის რესლსების საშუალებით ღიობში შეცურების პროცესი.*

ზემოთ: *ლითონის კონსტრუქციის ფოტოები ინტერიერის მხრიდან. ფასადის მხრიდან ღიობები დროებით სქელი პოლიეთილენის ფირებით დაიფარა, წყლის შეღწევის პრევენციის მიზნით.*